

შ.პ.ს. „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ქ. თბილისი

24 თებერვალი 2023 წელი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2023 წლის შემოსავლების ფარგლებში პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიოვიზუალური მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი № 1

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

ბორისი თაყაიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორი;

კომისიის წევრები:

დავით ზურაბაშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე;

გური მენაბდიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ დირექტორის მოადგილე;

ნინო ჭეიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი;

სამსახურებრივი მივლინების გამო სხდომას არ ესწრებოდა ვახტანგ კაზაზიშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

ირინე ყარაულაშვილი - შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2023 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის განხილვა/დამტკიცება.

კომისიამ განიხილა: სატენდერო კომისიამ განიხილა და მოიწონა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2023 წლის საკუთარი შემოსავლების ფარგლებში კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV50323000) შესყიდვის მიზნით კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. აღინიშნა, რომ კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების ჩამონათვალი და რაოდენობა, განისაზღვრა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ადმინისტრირების განყოფილების უფროსის გიორგი ლოლიაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგად (ბაზრის კვლევა ჩატარებული იქნა ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერის ირაკლი სუთიძის მიერ, კვლევა გაგზავნილი იქნა ცხრა კომპანიაში, ორი კომპანიიდან მიღებული იქნა განფასება) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა **24 470.00 (ოცდაოთხი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი**, ხოლო შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება კომისიის გადაწყვეტილებით განისაზღვრა დღგ-ს გათვალისწინებით **2500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარით**. ასევე განსაზღვრულია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახეობა და წარმოდგენის ვადა. ასევე მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ასევე აღინიშნა, რომ შესყიდვა შეთანხმდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შესაბამის სტრუქტურასთან.

კენჭისყრის შედეგად კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით ტენდერის გამოცხადებაზე ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ მიერ 2023 წლის შემოსავლების ფარგლებში კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით (CPV50323000) კომისიის აპარატის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

2. ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს ჩათვლით, პრეისკურანტის ღირებულებით **24 470.00 (ოცდაოთხი ათას ოთხას სამოცდაათი) ლარი** და სახელშეკრულებო ღირებულებით **2500.00 (ორი ათას ხუთასი) ლარი**. ამასთან შესყიდვის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საკონტაქტო პირად დამატებით განისაზღვროს ირაკლი სუთიძე.

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს კომპიუტერის პერიფერიული მოწყობილობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება ზემოაღნიშნული პირობების და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე:

ბორის თაყაიშვილი -




კომისიის წევრები:


დავით ზურაბაშვილი -



გური მენაბდიშვილი -



ნინო ჭეიშვილი -



კომისიის აპარატის წევრი: ირინე ყარაულაშვილი -

